

საქართველოს კანონი

“პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები 1993 წ., №9) პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო პოლიციის საქმიანობაზე”.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი